ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 79-2015

ქ. თბილისი 30 მარტი, 2015 წელი

ერთი მხრივ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (მისამართი: ქ. თბილისი, მ.კოსტავას ქ.№77) წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ქ. ქოქრაშვილის სახით („**შემსყიდველი**"), და მეორე მხრივ – შპს ქიმიური კომპანია „გეოჯემი" (იურიდიული/ფაქტიური მისამართი: თბილისი, ვაჟა ფშაველას 20) წარმოდგენილი მისი დირექტორის ჯემალ წულაიას სახით („**მიმწოდებელი**"), ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1 ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს:

CPV კოდი	დასახელება	რაოდენობა	ერთ. ფასი	თანხა
24311411	მარილმჟავა ქ/ს	2 ლ	10	20
24311411	გოგირდმჟავა ქ/ს	1 ლ	12	12
24413000	ამიაკი	2 ლ	6	12
24313126	სპილენძის სულფატი	0.5 კგ	18	9
24313122	სამვალენტიანი რკინის სულფატი	0.5 კგ	6	3
24300000	ამონიუმის როდანიდი	0.5 კგ	18	9
24320000	იოდის კრისტალები	0.1 კგ	450	45

1.2. შესყიდვის განხორციელების საშუალება – გამარტივებული შესყიდვა (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ი" ქვეპუნქტი).

2. ხელშეკრულების ფასი

2.1. ხელშეკრულების ფასი შეადგენს: 110 (ას ათი) ლარი.

2.2. ხელშეკრულების ფასი საბოლოოა და ითვალისწინებს საქონლის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯებს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე უფლებამოსილია შემსყიდველი მხარე. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს სტუ-ს შესყიდვების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი რატი ჩიქვინიძე, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირი შემსყიდველის მხრიდან – სტუ-ს საწყობის გამგე თ. მდინარაძე.

3.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხზე.

4. საქონლის მოწოდების ვადა და ადგილი

4.1. საქონლის მოწოდების სავალდებულო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღე.

4.2. მისამართი ქ. თბილისი, კოსტავას 77. სტუ-ს ადმინისტრაციულ კორპუსში მდებარე საწყობი.

5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;

5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მოწოდების შემდეგ, მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში. ამასთან, მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

6. უფლებების გადაცემა

6.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

7.2 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. დავების გადაწყვეტა

9.1. მხარეთა შორის სადაო საკითხი წყდება მოლაპარაკების გზით. 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხი განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 20 ივნისამდე.

11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მის: კოსტავას ქ. №77 სახელმწიფო ხაზინა ა.ა. სახაზინო კოდი 708977289 ს.კ. 211349192 ბანკის კოდი TRESGE22	შპს ქიმიური კომპანია „გეოჯემი" მისამართი: ვაჟა ფშაველას 20 ტელ 2396041 „პროკრედიტ ბანკი"-ის ცენტრ. ფ. ბანკის კოდი: MIBGGE22 ა.ა GE27PC0183600100016449 ს.კ. 205050406
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ქ. ქოქრაშვილი	დირექტორი ჯ.წულაია
---	---

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში შპს ქიმიური კომპანია „გეოჯემი"-სთან.

სტუ-ს შესყიდვების დეპარტამენტის

მთავარი სპეციალისტი რ. ჩიქვინძე

სტუ-ს აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების

ინჟინერინგის ფაკულტეტის ხელმძღვანელი გ. ქვარცხავა